№ 188

კვირა, 4 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 188

კვირა, 4 სექტემბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ი ვ ე რ ი ა“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-გან 6 საათამდე.
რთულ და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს ისწრებს ექიმს ი. ელიაშვილს.
(4—1666—3)

დღეს, კვირას, 4 სექტემბერს ინგლისელ-ამერიკელი ცირკი გუბერტ კუკისა გაჰმართავს საცხენოსნო საუცხოო წარმოდგენას.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი, აგრეთვე ჟონგლერების მეფე ბ-ნი კლაუდე ცხენით და რუსი გიმნასტიორი ეკვილიბრისტი სტეფანოვი.
დაწვრილებით გამოცხადებული იქნება პროგრამაში და აფიშებში.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე
ადგილების ფასი ზომიერია
**დირექტორი გუბერტ კუკი**
უფროსი გამგე ვოლდემარ სალამონსკი

## ტფილისი, 3 სექტემბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენში მოდის სახელმწიფო ქონებათა და მიწათ მოქმედების მინისტრი. ბ-ნს მინისტრს უნებებია თავისის თვალით ინახულოს, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყანაცა, შეიტყოს მისი ავი და კარგი და, რაც ეშველება, უშველოს.

მცირეოდენი დრო, რომელსაც ბ-ნი მინისტრი ჩვენში დაჰყოფს, მეტად მოკლე ხანია და ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ამ მოკლე ხანში მან შეიტყოს იგი არსებითი ვითარება ქვეყნისა, რომლის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რაიმე რიგიან დადგენილებისათვის და ნაყოფის მომცემ ცვლილებისათვის. იმისთანა თანამდებობის კაცს, როგორიც მთელის იმპერიის მინისტრია, ძნელად მოეთხოვება ერთს ადგილას სადმე დიდხანს დაყოვნება, რადგანაც სხვა ათასი საქმე კარს ადგა და ჰღაღადებს დაწყებას და გათავებას.

ეჭვი არ უნდა გვქონდეს მისი, რომ ბ-ნი ერმოლოვი გულ-მოდგინე კაცია და აღსავსეა სურვილით, რომ საცა მიდის, იმ ქვეყნის ტკივილი შეიტყოს და წამალი მოუპოვოს. იგი ერთი იმისთანა მინისტრია, რომელსაც მთელის რუსეთის განათლებულმა საზოგადოებამ დაამყარა თავისი სასოება და იმედი გაჭირვებისაგან ხსნისა და თითქმის ღაღად ჰყო მის მინისტრად მიწვევაც-კი. მაშასადამე, მისს მოსვლას ჩვენს ქვეყანაში არ უნდა ჰქონდეს საგნად მარტო გავლა-გამოვლა აქა-იქ და მერე წასვლა მარტო იმ აზრით, რომ სთქვას, ლამაზი ქვეყანა ყოფილაო, და სხვა ამისთანა.

რაკი ესეა და რაკი ვერ ვიმედოვნებთ, რომ ბ-ნმა მინისტრმა ჩვენს ქვეყანას იმოდენა დრო შესწიროს, რამოდენაც საჭიროა ქვეყნის ავკარგიანობის ზედ-მიწევნით საცოდნელად, ჩვენ თვითონ აქაურები უნდა ვეცადნეთ ბ-ნს მინისტრს გავაგებინოთ ყოველივე ის, რაცა გვტკივა და რა გვაბრკოლებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრების გზაზე.

ამ მხრით, ვისაც-კი ჩვენში საზოგადო გაჭირვებული მდგომარეობა აწუხებს, ყველანი სცდილობენ მოიფიქრონ, გამოარკვიონ საჭიროებანი და წამალიც შველისა ამცნონ. ამ მზადებასა და მოფიქრებაშია მოთავენი ტფილისის, ქუთაისის ქალაქებისა და აქაური სამეურნეო საზოგადოება, და მხოლოდ მარტო ერთი ჩვენებური თავად-აზნაურობა მიჩუმებულია და ბუზსაც არ იფრენს, თითქო მის გარეშემო სოფლად ყველაფერი ვარდებით იყოს მოფენილი და არაფერი არ ეჭირვებოდეს არც სოფელს, არც მეურნეობას, არც თავად-აზნაურს, არც გლეხსა. ეს ამისთანა გულ-გრილობა მაშინ, როდესაც აქ მოდის იმისთანა მინისტრი, რომელიც გულ-მოდგინედ მცდელია ნახულს ქვეყანას დანახული სატკივარი გაუგოს და გზა ხსნისა მისცეს შეძლებისამებრ, ჩვენა გვგონია შეუნდობელი ცოდვაა წინაშე ქვეყნისა საერთოდ და საკუთარის თავისა ცალკედ.

მინამ დრო ბ-ნ მინისტრის მოსვლამდე, ჩვენ ვურჩევთ ჩვენებურ თავად-აზნაურობას ამიერ თუ იმიერ საქართველოისას საგანგებო კრება მოახდინონ, ან სხვა რამ ღონე იღონონ იმის მოსაფიქრებლად საერთოდ, რომ უშველონ ბ-ნ მინისტრს გამორკვევა ჩვენის ქვეყნის ვითარებისა, აღნიშნონ იგი საგნები, რომელზედაც უნდა მიიქცეს ბ-ნ მინისტრის ყურადღება, და თავის მხრით უჩვენონ გზა გაჭირვებისაგან ხსნისა.

ყველანი იძახიან, რომ ღმერთს ჩვენთვის მდიდარი ქვეყანა მოუცია და მასზე მცხოვრები ერი-კი სიღარიბიდამ ვერ გამოსულა. რად უნდა იყოს ესე, თუ ერთი დიდი იარა და ნაკლი არა აქვს ჩვენს ქვეყანას თვით ცხოვრების აგებულებაში და იმ წესთ-წყობაში, რომელიც ამოქმედებს ერს საეკონომიო სარბიელზე? ან ვინ უნდა იცოდეს ეს ნაკლი ისე ზედ მიწევნით, ისე მართლად, თუ არ ქვეყნის მკვიდრთავე, რომელთ გარშემო დღე ყოველ ისმის ღაღადი ქვეყნისა და მდინარებს მისი ვაივაგლახი.

ჩვენდა სამწუხაროდ, გლეხს მინისტრამდე ხმა ძნელად მიუწვდება. დაგვრჩა მარტო ერთი თავად-აზნაურობა, რომელსაც გზა აქვს მისვლა-მოსვლაც იქონიოს ბ-ნ მინისტრთან და მოილაპარაკოს კიდეც მასზედ, რაც ეჭირვება ქვეყანას და რაში შესაძლოა საქმის შველა და წარმართვა. აქ საჭიროა მხოლოდ კარგად მოფიქრებული სიტყვა, დასაბუთებული ნაკლი ქვეყნისა, კარგად და ნათლად გამორკვეული ჭეშმარიტი საჭიროება საქვეყნო თვისებისა და არა კერძო რამ ცალკე თითო-ოროლა კაცისა.

იმედია, ჩვენებური თავად-აზნაურობა არ დაჰკარგავს ამ იშვიათს შემთხვევას ბ ნ მინისტრის მოსვლისას; ამ შემთხვევას ღირსეულად დახვდება და გაუძღვება და მით რამე შეღავათს და შველას მისცემს ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, შეუნდობელი ცოდვა იქნება, რომ ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობამ მის საკადრისად თავი არ იჩინოს და ხმა ამოუღებელი დარჩეს.

## დეპეშა

2 სექტემბერი

**ლონდონი.** ამ დღეებში კაიტშენის ახლოს ბრძოლა ჰქონდათ ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს; ამ ბრძოლის შესახებ ერთმანერთის წინააღმდეგი ამბები მოვიდა; უფრო მართალი ის უნდა იყოს, რომ ვერც ერთმა ვერ დაამარცხა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში შესასვლელად ძალიან ბევრი მსურველია და ვაკანსია-კი მეტად ნაკლები. განსაკუთრებით ბევრია მსურველი მოსამზადებელ კლასის მეორე განყოფილებაში შესასვლელად, რის გამოც სკოლის კომიტეტი აპირებს თურმე, ამ ცოტას ხანში, მოუმატოს მეორე ამ გვარივე განყოფილება.

*** კომერციის კანდიდატმა ალამირზოვმა მიჰმართა ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა, ნება მომეცით ჩემის ფულით ტფილისში საკომერციო კურსები დავაარსოო.

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

დაგწყევლო, კრულო ბუნებავ,
შენც გაგიწყრები, ზენაო,
რად შემაყვარეთ, ვის არად
მაჩნის ჩემი წყენაო:
დღე და ღამ ტანჯვა გულისა,
უზომო ჭირთა თმენაო,
წამება ჯოჯოხეთისა
და სისხლის ცრემლთა დენაო.

დ. მაჩხანელი

### ინგლისის ეხლანდელი დედაკაცი

V *)

ამ ერთის თვის წინად დაიბეჭდა ახალი თარგმანი ტურგენევის „Рудинъ“-ისა. კრიტიკა ამ რუსეთის სახელოვან რომანების მწერალის საუკეთესო ნაწარმოებს დიდის აღტაცებით მიეგება და განსაკუთრებით დიდად იყო ქებული თარგმანის სადა და წმინდა ინგლისური ენა. მართლაც, სავსებით, უნაკლულოდ არის თარგმანში აღნიშნული მთელი ხელოვნება ტურგენევისა, განსაკუთრებით გრძნობით სავსე დასაწყისი, ანუ შესავალი რომანისა. ეს რომანი სთარგმნა Mrs C. Garnett-მა (კ. გარნეტმა), ახალგაზდა, მწერლობის ასპარეზზედ ახლად გამოსულის მწერალის ცოლმა. კარგი ნათარგმნი თხზულება იშვიათია და საოცრად ნათარგმნს ხომ უფრო იშვიათად შეხვდებით. უბრალოდ-კი არ ამბობენ იტალიელები „traduttore—traditore“ (მთარგმნელი — შემცვლელი, მოღალატეაო).

კიდეც ამიტომ ემზადებოდა სათარგმნელად Mrs Garnett-ი სწორედ ინგლისურის უჯიათობითა და აჟინებით. ორის წლის განმავლობაში, რუსულს წიგნებს გარდა, სხვას არასა კითხულობდა; გაიცნო რა რუსეთის საუკეთესო მწერლები, შემდეგ ერთი ზამთარი მოსკოვსა და რუსეთის შიდა გუბერნიებში იცხოვრა. რაც შეეხება ამ ქალის საზოგადო განათლებას, განსაკუთრებით სალიტერატურო-სამეცნიეროს, ისიც საკმარისია ვსთქვათ, რომ უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების მოწმობა აქვს.

ცნობის-მოყვარეობით ვკითხე Mrs Garnett ს, როგორ განვითარდით, რომელს სასწავლებელში სწავლობდით-მეთქი, რადგან ასე მეგონა, რომ უნივერსიტეტში შესვლამდე რომელსამე დედათა საშუალო სასწავლებელში მომზადებულიყო. «სასწავლებელიო? მიპასუხა ამ ქალმა: ჩემი სასწავლებელი ის ოთახი იყო, რომელშიაც გათხოვებამდე ვცხოვრობდი ჩემ მშობლებისას. ჩემი ძმა მასწავლიდა მათემატიკასა და ძველს ენებს, დანარჩენს-კი მე თითონვე ვსწავლობდი ჩემდა თავად. თექვსმეტის წლისა რომ გავხდი, მხოლოდ მაშინ დავიწყე პროგრამის შესაფერად სწავლა და ეგზამენი გადავიხადე უნივერსიტეტში შესასვლელად“. მაშასადამე, აქაც კერძო ძალ-ღონით მიუღწევია ამ ქალს თავისის სურვილისათვის და თავისდა თავად განვითარებულა. შინ, ოჯახშივე აღზრდა, ყმაწვილობითვე დამოუკიდებლად ცხოვრება, პატივისცემა ადამიანის პირადობისა, შრომის სიყვარული და ამისი დამაგვირგვინებელი ყველაფრის შემნდობელი შეშვნევა და მოთმინება, სიწყნარე და სიყვარული ტვირთ-მძიმეთა... ეს არის საზოგადო ძირეულნი თვისებანი ინგლისელისა. გადახედეთ მრავალთ უმრავლესს საყმაწვილო წიგნს, რომელიც 8—9 წლის ბავშვებისათვის არის დაწერილი, და გაგაოცებთ სიმრავლე მშვენიერის ფერადის წამლით დასტამბულ სურათებისა, რომელთაც ზედვე აჩნევიათ ალერსი და სიყვარული ცხოველთა, ფრინველთა და ყვავილთა მიმართ; ხოლო რაც შეეხება უბედურთა, გაჭირვებულთა და ტვირთ-მძიმეთ, ეს ხომ სათქმელიც არ არის *). ამას დასძინეთ ლმობიერება და სიწყნარე დედებისა — არასოდეს არ შემხვედრია ქუჩაში, ომნიბუსსა და რკინის გზებზედ დედა, რომ ხმა-მაღლად დაელაპარაკნოს თავისს შვილებთან. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ამბავი, რომელსაც ქალაქ გარედ რკინის გზის სადგურზედ შევესწარ. ჩვენს ვაგონს ამოახტა სამი ყმაწვილი, ქალ-ვაჟნი. ის იყო ეცელქნათ მინდორზედ სხვა ყმაწვილებთან ერთად და ერთბაშად ვერ დაწყნარებულიყვნენ: ფანჯარას არა ჰშორდებოდნენ, ქუდებსა და ხელსახოცებს უქნევდნენ იქავე დარჩენილს ამხანაგებს. იმათმა დედამ, რომელიც იქვე იჯდა წიგნ-გადაშლილი, წყნარად, წიგნიდგან თავის აუღებლად უთხრა: „დასხედითო“. იმათ თავისი

*) იხ. «ივერია», № 174.

*) ჩემ მიერ შენიშნულის შესამოწმებლად შევეკითხე ბევრს აქ მცხოვრებელს ფრანგსა, იტალიელსა, გერმანელსა, შვეიცარიელსა და სხვათ და ყველამ ერთ-ხმად აღიარეს, რომ გაოცებულნი ვართ ინგლისელის ქალის მშვიდობიანისა და თავ-დაჭერილის ხასიათითაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ბორჯომი. 1 სექტემბერს სახალხო მატარებელი მოდიოდა ხაშურიდგან ბორჯომს ნაშუადღევის სამს საათზედ. სულ ნახევარ ვერსი-ღა აკლდა ბორჯომის სადგურამდის, რომ მატარებელი გადავარდა რკინის გზის ლიანდაგიდგან. მგზავრებს არა დაშავებიათ-რა, რადგანაც მატარებელი ძლიერ ნელა მიდიოდა და გადავარდნითაც მარჯვნივ მხარეს გადავარდა. თქვენი მტერია, მარცხნივ რომ გადავარდნილიყო, მატარებელი მთლად ხალხით მტკვარში გადაცვივდებოდა. აშკარად სჩანს, რომ ლიანდაგი კარგად არ არის ამაგრებული, რადგანაც, როცა მატარებელი გადავარდა, ლურსმანი ამოსძვრა, რომლითაც ლიანდაგი იყო დამაგრებული, და მატარებელი მიწაზედ დაეცა. რადგან ამ შემთხვევის გამო მატარებელმა დაიგვიანა და ტფილისში მომავალს № 2 მატარებელს ველარ მოუსწრო, რკინის გზის მმართველობის განკარგულებით ბორჯომიდგან მოსული ხალხი საგანგებო მატარებლით გამოისტუმრეს ტფილისში, სადაც დილის მეექვსე საათზედ მოვიდნენ. გზის გაკეთებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

*** ოზურგეთი. 14 მარიამობისთვეს აქ ამოვიდა ქართველი ფოტოგრაფი ბ-ნი ალექსანდრე როინიშვილი. ოზურგეთიდამ სოფ. აჭას გაემგზავრა და სურათები გადიღო აჭის ძველის ეკკლესიისა და ხატებისა, ლიხაურის ეკკლესიისა და სამრეკლოსი, შემოქმედის მონასტრის ძველის ხატებისა და ჯუმათის მონასტრის ყველა ძველის ხატისა.

*** სოფ. ხუმელაგა. (კავკავის მაზრა), 10 აგვისტოს ხუმელაგაში მცხოვრებნი გადაკო გუკაევი და ბოცკა მორგოევი, ორივე ყმაწვილი კაცები, წავიდნენ არყით შეზარხოშებულნი, სოფ. არდონში თავიანთ საქმის შესახებ. გზაზედვე ცოტა ლაპარაკი მოუვიდათ და შესდგნენ. ამ დროს წამოეწიათ ერთი არდონელი ოსი, რომელსაც ტყიდგან შეშა მიჰქონდა შინ. არდონელმა ხუმელაგელ მოჩხუბართ, დამშვიდება დაუწყო. გაბრაზებულთ გუკაევმა და მორგოევმა, ერთმანეთს თავი დაანებეს და, როგორც თუ შენ გვაშველებო, მიცვივდნენ არდონელს, საბრალო წაიგდეს ქვეშ; ჯერ ქვაზედ უხალეს თავი და მერე ხანჯლით დასჭრეს მძიმედ, ასე რომ სიკვდილზედ მიაგდეს. საბრალო არდონელის მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

გუკაევი და მორგოევი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ს. სტირდიგორი (კავკავის მაზრა): ამ სოფელში მცხოვრები გაბიცა ხამიცოვი ძალიან განთქმული მონადირე ვაჟკაცი იყო. ამას წინადაც წავიდა სანადიროდ, მოჰკლა ჯიხვი და დაჰგორებოდა კლდეზედ, ხამიცოვს მოენდომებინა კლდეში ჩასვლა, მაგრამ საბრალო დაგორებულიყო და თითონაც თან გადაჰყოლოდა. სამი დღე ეძებეს და მეოთხე დღეს ძლივს იპოვნეს დამტვრეულ-დამსხვრეული.

*** გაზეთი „რუს. ჟიზნი" გვაუწყებს, რომ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ამ ჟამად იმყოფება ნოვოროსიისკში, საიდგანაც წავა წელენჯიხს, არხიპოოსიპოვკას, დაბა მიხეილოვსკს და ტუაფსეს; გასინჯავს პრინც ოლდენბურგის მამულს და ვენახებს, აგრეთვე ზღვის პირას მდებარე სოფლების მეურნეობას. ტუაფსიდგან წავა სიბირიაკოვის მამულში და გზად დაათვალიერებს ველიამინოვსკის და შტეინგელის ვენახებს, აქედგან გადავა მამულს ვარდანეში, რომელიც ეკუთვნის დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს. შემდეგ წავა რაჭას და დაათვალიერებს საუფლისწულო მამულს და გომისს, ხლუდოვს და სხვას; აქედგან გადავა ადლერს, გაგრას, ბიჭვინტის მონასტერში, ახალ ათონს და სოხუმს; სოხუმში დაათვალიერებს ახალ სამეურნეო სადგურებს, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძის მამულს - სინოპს, ტატარინოვის ბაღებს და სხვ. იქიდგან ბ-ნი მინისტრი წავა ბათუმს, სადაც დაათვალიერებს ჩაქვის მამულს, და ქუთაისს, სამეურნეო სკოლის დასათვალიერებლად და იმ ადგილების სანახავად, სადაც საფილოქსერო სადგური უნდა გაჰმართონ; მერე წავა ტყიბულის ქიათურის ქვა-გუნდის მადნების, საქარის მოსაშენებელის და ზეკარის საძოვრების დასათვალიერებლად. ამ მოგზაურობის შემდეგ ბ-ნი მინისტრი ჩამოვა ტფილისში. ჯერ-ჯერობით გამოცხადებული არ არის, ტფილისიდგან სად გაემგზავრება მინისტრი.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ." სწერს, რომ ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში რუსების განყოფილებაში 18 ვაკანსიაა დარჩენილი, სომხებისაში—17 და ქართველისაში—16 იო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ." სწერს, რომ ხუთშაბათს 1 სექტემბერს ტფილისის სახელმწიფო თეატრში კრება ჰქონდათო სომხურ დრამატიულ დასის არტისტებს თავადის ნ. ი. ამატუნის თავმჯდომარეობით. არტისტებმა განაცხადეს, რომ მომავალ ზამთრის სეზონში ამხანაგობას შევადგენთ და ისე გავმართავთ წარმოდგენებსაო. დასს შეადგენენ ადგილობრივი არტისტები და წარმოდგენებს კვირაში ერთხელ გამართავენ. არტისტებმა უნდა ამოირჩიონ რეჟისორი და სარედაქციო კომისიის წევრები რეპერტუარის შესადგენად.

ეს ყველა კარგი, მაგრამ საყურადღებოა ვიკითხოთ ჩვენი ქართულის დასის არტისტები რაღას აპირებენ? ნუ თუ ამ საზამთრო სეზონში ქართველი საზოგადოება მოკლებული იქნება ერთად-ერთს გასართობს—ქართულს წარმოდგენებს? ნეტა ვიცოდეთ, დრამატიული კომიტეტი რას უპირებს იმ ასს თუმანს, რომელიც წრეულს უნდა მიიღოს სათავად-აზნაურო ბანკისაგან იმ პირობით, რომ დასი იყოლიოს?!..

*** ბ-ნი რატილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ განზრახვა აქვს შეავსოს თავისი ქართული ხორო და მსურველ ყმაწვილ კაცთ, რომელთაც-კი ხმა აქვთ, თუ მოისურვებენ იმის ხოროში მღერას, უსასყიდლოდ ასწავლის ქართულ საერო სიმღერების გალობას. სწავლა ამ ახლო ხანებში დაიწყება. მსურველმა უნდა მიჰმართოს თვით ბ-ნს რატილს, რომელიც სადგურობს ვარანცოვის ვიწრო ქუჩაში, ზომერის სახლებში, №5. იმისი ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3-დგან 6 საათამდე.

—

განსვენებული ი. ს. ხატისოვის შვილების თხოვნით ვბეჭდავთ ამ წერილს: „რადგან ქვრივი განსვენებულის ივანე სტეფანეს ძის ხატისოვისა ტფილისში არ იმყოფება, გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მოვახსენოთ მისი უგულითადესი მადლობა ყველას, ვინც-კი გულწრფელი თანაგრძნობა განუცხადა ქვრივს მისის უბედურობის გამო".

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ჩვენს მეთაურს წერილში შეცდომით არის დასახელებული, ვითომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიეცეს სესხად მადნის პატრონისათვის 800,000 მან., ეს სესხი მისცა ფინანსთა სამინისტრომ და არა სახელმწიფო ქონებათა უწყებამ.

—

გუშინდელს ფელეტონის მესამე სვეტზედ დაბეჭდილია: „შემდეგ რედაქცია ეხება ბატონი ნოე ჟორდანიას წერილსა, რომლიდგანაც სრულიად იმ ადგილსა..". უნდა ყოფილიყო: რომლიდგანაც მალამს სრულიად იმ ადგილსა. მეექვსე სვეტზედ დაბეჭდილია: „თანაც გავუგზავნე 3 თუმანი საკუთარი ჩემი ფული". უნდა ყოფილიყო: ხუთი (5) თუმანი საკუთარი ჩემი ფული. მეცხრე სვეტზედ დაბეჭდილია: „სახსარი მქონდეს". უნდა ყოფილიყო: იმოდენა სახსარი მქონდეს.

## დამაკვირდი

—

ჭაბუკი ვიყავ, მოვხუცდი და ჯერ არ მინახავს, რომ ღონიერი დ მძლიერი მართალიც არ იყოს.

პიერემონტი

**

რაც უფრო მაღლა იწევს მზისაკენ მცენარე, მით უფრო ღრმად იკიდებს ფესვებს მის საზრდოებელს ნიადაგში.

გ. გრიმი

**

ბევრს სათნოება ცოდვების მონანიება ჰგონია და არა იმათი გზის აცდენა.

ლიხტენბურგი

## კორესპონდენცია

—

**ხევი,** 26 აგვისტო. თუმცა საზოგადოდ ჩვენი მთის მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი ვართ სახნავ-სათესის მიწების სიცოტავით და რომელიც ჩვენში ყველაზედ შეძლებულია, იმასაც თავის წლის მოსავალი ქერი [1]) 3—4 თვეს ძლივსა ჰყოფნის საჭმელად, მაგრამ თრსოს ხეობაში მცხოვრებ ოსებს-კი ჩვენზედ კიდევ უფრო ცოტა აქვთ სახნავ-სათესი მიწები. ახლა ამას ისიც რომ დაუმატოთ, რომ კავკავიდგან მოტანილი სიმინდი ზამთარში უგზოობისა გამო, თითქმის 6—7 ვერსის მანძილზე, ორივე სქესნი (უფრო ხშირად-კი დედათა სქესნი) ზურგით ეზიდებიან, ადვილად წარმოიდგენს კაცი, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს ეს ხალხი. მიუხედავად ამისა, თრსოვლებს პირველი ადგილი უჭირავთ ჩვენს მთაში სტუმართ მიღებდახვედრით და გულკეთილობით. შეძლებითაც არა უჭირსთ-რა, ქონებით დანარჩენ მთის ხალხზედ თრსოვლები უფრო კარგად სცხოვრობენ. თრსოველი მუდამ მხნედ მუშაობს და თავისს ქონებას დაზოგვით ხმარობს; ზაფხულში შინ მუშაობს და შინაურს საქმეს აკეთებს, ხოლო შემოდგომაზედ, როცა-კი შინაურის საქმისაგან მოიცლის, სახლს გაზაფხულამდე თავს ანებებს [2]) და ბიდარის მთაზედ ყაზარმაში გზის მუშად დგება თვეობით და მთელი ზამთრის განმავლობაში სულ მოუცდენლად მუშაობს.

როგორც დანარჩენ მთის ხალხშია ზოგიერთი მაზარალებელი ჩვეულება, ისე ამათშიაც სხვა ჩვეულებათა შორის დარჩენილა ერთი დამღუპველი ჩვეულება — დიდის ხარჯის გაწევა მიცვალებულის დასაფლავებისათვის. რა წამს გარდაეცვლება ვინმე თრსოველს, მაშინვე ქელეხის თავდარიგს შეუდგება. გამოგზავნის ს. კობში კაცებს, აყიდვინებს დუქნებში 10-დგან 20 ვედრამდე არაყს, თუ ცხენის გზა იქნება, ცხენის საპალნით შეატანინებს ნაყიდ არაყს, თუ არა-და, ჩვეულებისამებრ ისევ კაცის ზურგით [3]) და გაუდგებიან გზას; ამასთანავე მიცვალებულის ჭირისუფალმა უნდა დახოცოს 1 დგან 4 მდე მსხვილ-ფეხი საქონელი, 1-დგან 10-მდე ცხვარი, მოიწვიოს ხალხი და გაუმასპინძლდეს [4]). თრსოს ხეობაში შემდე-

1) აქ ქერისა და შვრიის მეტი არა ხარობს-რა.

2) ბევრჯელ სახლში რამდენსაც-კი მუშაობა შეუძლიან, ყველანი ზამთრის გზის მუშად დგებიან და სახლი მარტო მანდილოსნებისა და უძლურ მოხუცებულ კაცების ანაბარად რჩება.

3) თითო-ოროლა ვედრიან ტიკჭორებში ჩაასხმევინებენ ხოლმე არაყს და ისე აჰკიდებენ ცხენებს, ან თითონ კაცები იკიდებენ.

4) თუ ჭირისუფალი მდიდარია, მთელი თრსოს ხეობის მცხოვრებნი მივლენ ქელეხში, თუ არა-და, მხოლოდ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი.

---

არ დაიშალეს. ქალმა იმავე სიწყნარით განუმეორა: „დასხედით". ბავშვები მაინც არ დაწყნარდნენ. მაშინ დედამ თავი დაანება წიგნსა და უფრო მეტის დამშვიდებით სთქვა: „დასხედით, თუ ღმერთი გწამთ". ამის გაგონებისათანავე გაცელქებული ბავშვები ჩვეულებრივ დამშვიდდნენ და რიგზედ მოუსხდნენ დედას, რომელიც კვლავ კითხვას განაგრძობდა.

სწორედ ასეთივე ღმობიერი დ მომთმინო დედაა Mrs Garnett-იც. თავისს ორის წლის შვილს ისეთის აღუშფოთებელის მშვიდობიანობით ელაპარაკება, ისე დალაგებით და დინჯად, რომ სასაცილოც-კია ამისი ნახვა. არც მხოლოდ ის ეპყრობა ასე თავისს შვილებს. იმისი მეზობელი და მეგობარი ქალები S., ჩემი საუკეთესო ნაცნობები D—st, H—ol, Ch—y და სხვანი—ყველანი ერთ გვარ წყნარნი, დინჯნი, ღმობიერნი არიან, როდესაც თავისს შვილებს ელაპარაკებიან. ხსენებულს ქალებსაც და სხვათაც თითქმის სამი წელიწადია ვიცნობ, მაგრამ არამც თუ შეკივლება, არამედ მოთმინებისაგან გამოსვლისა გამო ხმის კილოს შემაღლებაც არ გამიგონია იმათგან. ამასთან გახსოვდეთ, რომ ეს დედანი ყველანი თავ დაჭერით, ზომიერად სცხოვრობენ და თავისს შვილებს თითონვე უვლიან. მერე იცით, ინგლისურად რას ჰნიშნავს ყმაწვილის წესიერადა და ჰიგიენურად აღზრდა?— აუცილებლად უნდა აბანონ ყმაწვილი დილა-საღამოს, დილით ცივს წყალში, საღამოზედ—თბილში. ამ საქმეს ჩემი ნაცნობი დედანი თითონვე აკეთებენ და ამასთანავე თითონვე უადებენ თვალ-ყურს, რომ არა დააკლდეთ-რა, ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდეთ იმათს ქმრებს, რომელნიც ყოველთვის საქმეში არიან გართულნი ან სახლს გარეთ, ან თავისს სამუშაო ოთახში იმყოფებიან და სამწერლო სტოლს არა ჰშორდებიან.

უნებურად გაუელვებს ადამიანს ეს ფიქრი: სადღა ჰპოულობენ დროს Mrs Garnett-ი და სხვანი ახალგაზდა დედანი, რომ სთარგმნონ, ისწავლონ, ჟურნალ-გაზეთი იკითხონ, სიტყვანი მოისმინონო? მთელი სიცოცხლე უნდა შესწირონ, რომ ოჯახს რიგიანად მოუარონ და ბავშვები წესიერად აღზარდონო. აკი ასეც არის ევროპაში. მაგრამ აქ-კი ცხოვრება ისეა მოწყობილ-მომართული, რომ დრო სულ არ დაიკარგოს. ჯერ ერთი, სახლ-სადგომები რამდენიმე სართულიანია და შესაძლებელია ყმაწვილებისა და სამუშაო ოთახები განაცალკევონ სასტუმრო, საწოლ და სასადილო ოთახებისაგან. ყოველი სადგომი, რომელიც-კი წელიწადში ოც თუმანზედ მეტსა ჰფასობს, 5, 6 და მეტის ოთახისაგან შესდგება დ საბანებელი ოთახიცა აქვს დართული, რომლისათვისაც წყალი სამზარეულოში თბება მაშინ, როდესაც სადილის მოსამზადებლად დაანთებენ ხოლმე ცეცხლს. ეს შეძლებას აძლევს ოჯახის ყოველს წევრს მაშინ იბანოს, როდესაც-კი მოისურვებს. მეორე,—მშობლები სრულს უფლებას აძლევენ ბავშვებს, რომ თავისუფლად განვითარდნენ, ძალას არაფერში ატანენ, თავს-კი არ ახვევენ ხასიათის ამა თუ იმ თვისებას, არამედ უსწორებენ იმ ხასიათს, რომელსაც ბავშვი თითონვე გამოიჩენს. მისცემენ რა ბლომად სათამაშოებსა და სურათებს და ცალკე ოთახს მიუჩენენ, მთელის საათობით მარტოებსა სტოვებენ, ან დრო-გამოშვებით დაჰხედავენ ხოლმე. ბავშვებმაც კარგად იციან, რომ მამა და დედა არ უნდა შევაწუხოთ, როდესაც ჰმუშაობენო. მესამე,—აქ ადამიანი ყმაწვილობიდგანვე ითვისებს იმ ხასიათს, რომ უბრალოდ დრო არ უნდა დაიკარგოსო... მაგრამ კმარა, შემდეგ მოვილაპარაკებთ იმის გამო, ინგლისელებს როგორი ცხოვრება აქვთ და მთელს დღეს როგორ ატარებენ. ახლა-კი რამდენსამე სიტყვას ვიტყვით აღზრდის შესახებ.

ერთმა ჩემმა უცხო-ქვეყნელმა მეგობარმა, ჩემსავით გაოცებულმა ინგლისელთა ღმობიერებითა და ყმაწვილებსა და მშობლებს შორის ასეთის საუცხოო დამოკიდებულებით, საგეოგრაფიო საზოგადოების მდივანს მისტერ კელტის უთხრა, რომ, სამწუხაროდ, ევროპაში დამოკიდებულება მშობლებსა და ყმაწვილებს შორის ასეთი წესიერი და მტკიცე არ არის, ჩვენში უფრო დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბრძანებასა და შიშით გამოწვეულს მორჩილებასაო.

— ჩვენც, თანამედროვე დედანი და მამანი, მაგ გარემოებაში ვართ აღზრდილიო, უპასუხა მისტერ კელტიმ. ჩვენც გაგვწკეპლავდნენ ხოლმე, დაგვსჯიდნენ. ეხლაც საზოგადოების ზოგიერთს წრეში ძალიან მარგებლად მიაჩნიათ წკეპლა და მკაცრად, სასტიკად მოქცევა. ხოლო განათლებულ საზოგადოებასა და განვითარებულ მუშათა შორის ზნე-ჩვეულება საკმაოდ გაკეთილშობილდა... უფრო გულ-კეთილნი ვართ, უკეთესნი, უფრო გონიერნი. მერე იცით, ვინ გაგვაკეთილშობილაასე?— განუსაზღვრელად კეთილმა და კაცთ-მოყვარე დიკკენსმა, რომელსაც გასაოცრად დიდი

გი სოფლებია: ქთერისი, აბანო, ბარზი, სუატისი, ქვემო-დესი, ზემო-დესი, ყარათყავი, ბურმასგი, ცოცოლთყავი, ჯიმარა, რესი, ტეფი და სივრავნი.

ამ სტრიქონების დამწერმა შემთხვევით ერთხელ-ორჯელ ზოგიერთებს მეგობრობისა გამო დარიგება მივეცი და ვურჩიე, რომ მიცვალებულზედ ასე უბრალოდ არ იხარჯებოდნენ და თუ თავისს მიცვალებულის სულის სამეოხოდ დახარჯვა სურთ და შეძლებაც ხელს უწყობთ, მაშინ ასე უბრალოდ-კი არ უნდა იხარჯებოდნენ, არამედ ფულად თითო-ოროლა მანეთი დაურიგონ ობოლ-ქვრივებს და ღარიბ-ღატაკებს, რომ იმ ფულით ნაყიდის პურით ზოგი თავის მშიერ კუჭს გაიძღობს, ზოგიც თავისს შიშველს ტანს შეიმოსავს და ეს უკეთესია მეთქი როგორც მიცვალებულის სულისათვის, ისე მიცვალებულის ჭირისუფლებისათვისაც... მაგრამ პასუხად აი რა მომიგეს: „რასაც ჩვენ მიცვალებულის გულისათვის აი სოფლად სასმელ-საჭმელს ვხარჯავთ, იმის სუნი პირ-და-პირ იქ საიქიოს მიცვალებულთან მიდის და იმით საზრდოებენო!.." ამისთანა ცრუ-მორწმუნეობის აღმოსაფხვრელად ხალხში, დიდი ცდა და თავ-გამოდება ჰმართებს ადგილობრივს მღვდელს.

გ. ბედოშვილი

## რაჭა

(იქა-აქა რამე-რუმე)

„უი ჭი რა ცოდვა გვექითსა,
ქვე დავიღუპეთ განაო,
ტიალმა გვალვამ აგვისმო
ვენახ-სიმინდი-ყანაო.
შიმშილი გველის პეჩავთა,
ჭსურს გაგვიტანოს თანაო,
და ღმერთმა ყველას აშოროს
ზარალი ამისთანაო".

კაი ხანია რაც, რაჭველებს მოუსავლობა გადამდებ სენად გარდაექცათ. აგერ ექვს წელიწადზედ მეტია, რომ რაჭაში კვალანდებურად უხვი მოსავალი აღარ მოსულა. თუმცა სნეული მდელო ყოველ გაზაფხულის პირად კარგ მოსავალს გვიქადის, გულს გვიტკბობს და გვაიმედებს, მაგრამ—დალახვროს ღმერთმა ეშმაკი!—დადგება თუ არა ზაფხული და ჩვენს იმედებსაც ეღება ბოლო. წელს მაისსა და ივნისში რაჭველებს ჭირნახულში ღვთის თვალი ტრიალებდა და ყოველი კაცი ამ აზრისა იყო: „ბეღელ-ნალიას და ქურ-მარანს თუ არ გაუმატე, მოსავალს ვერაში დავტევთო, მაგრამ ივლისის პირველიდგან ვიდრე აგვისტოს 15-მდე რაჭველებს ცის ნამი თვალით არ დაგვინახავს. სასტიკმა გვალვამ სიმინდები აგვიხმო და აგვიფუშუტა. ყურძენს მარცვალი ისე გაუწვრილა და გაუფშიკა, რომ, თუნდა ქვაც სცემო, ურინტსაც ვერ გააგდებინებ. აგვისტოს 15-დგან ჩვენც გვეღირსა ცის ნამი, მაგრამ, რომ იტყვიან ანდაზად: „სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძვრესო", სწორედ რაჭველებსაც ისე დაგვემართა. სანამ ცის ნამს ვეღირსებოდით, მანამ გვალვამ ზურგზე ტყავი აგვაძრო და ახლა მისგან სხვა სიკეთეს არას ველით გარდა იმისა, რომ შეიძლება ყურძენს მარცვალი გაურბილოს და საზიარებელი ზედაშე-ღა მაინც გვაღირსოს. კიდევ კარგი, რომ სამხედრო ოსეთის გზა-ტკეცილით კავკავის ოსებს უხვად გადმოაქვთ ჩვენში გასასყიდი სიმინდი და აპურებენ რაჭველებს, თორემ, ისე თქვენი მტერი, რავარც ჩვენ ასაყრელად გაგვიხდებოდა საქმე! თითქმის ყოველ პარასკეობას გლოვლის ხიდის მინდორი (ზემო რაჭაშია) და დაბა ონის ყანთრის მოედანი სავსეა სიმინდის ურმებითა და ჩიტის გუნდივით ასევია მუშტარი. ამ ორიოდე დღის წინათ დაბა ონიდან მიმავალ მესიმინდე ოსების ქარავანს გაგონია სიცხეში მეხი დაეცათ, ერთიორი მოჰკლა და ერთიც დაასახიჩრა.

აგვისტოს 13 ს. ღიბში უბედურება მოხდა: შუადღის პაპანაქება-სიცხეში სწორედ იმ დროს, როცა სოფლის ყველა დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყანა ველში იყო გასული სათიბ-სამკალოდ, ცეცხლი გაუჩნდა ერთს მოსახლეს. საცოდავი გლეხი სახლიან კარიან და სრულიად სარჩო-საბადებლიანად გადაიბუგა. ცეცხლი გადაეკიდა მეორე მოსახლესაც, მაგრამ ეკკლესიის ზარის ხმაზე სამკლად გასულმა ხალხმა მოაშურა და გადაარჩინეს.

მთის რაჭველებმა, ღებელებმა და ჭიორლებმა ახალის მაზრის უფროსის შთაგონებით დადგენილი განაჩენი სამხედრო ოსეთის გზა-ტკეცილამდე საურმე გზის გაყვანის შესახებ უკვე მოიყვანეს აღსრულებაში. როგორც ამბობს გზის მოიჯარადრე ბერძენი, გზა ორს კვირაში მზად იქნება. ეს გზა უზის ზემოხსენებულ სოფლელებს 3000 მანეთი და ურიგო არ იქნება, სანამ მოიჯარადრე ჩააბარებდეთ, მაზრის უფროსმა ჰნახოს და თუ რამე ნაკლულევანება ჰპოვოს, შეასრულებინოს მოიჯარადრეს.

მიხეილ ღებელი

## რუსეთი

ასტრახანში 14 აგვისტოდგან 21-მდე ხოლერით ავად გამხდარა 36 კაცი და ამათგან 20 გარდაცვლილა.

—

ხმა დადის, რომ ახალის პროექტის ძალით სახელმწიფო ბანკი ფულს გასცემს იმ ვექსელით, რომელზედაც მხოლოდ ერთს კაცს ექმნება მოწერილი ხელიო. ამ გვარ ვექსელებით ფულის გაცემა, ცოტა არ იყოს, საშიშოა სახელმწიფო ბანკისთვის. ამიტომ განზრახვა აქვთ, სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილებათ მიენიჭოს უფლება ერთის კაცის ხელის მოწერილ ვექსელით ფულის გაცემისა, რომელთაც თვით მინისტრი ნებას დართავს ხოლმე და იმ დროს, როცა რომელსამე ადგილას ან ვაჭრობა დაეცემა, ან ფულის შოვნა გაძნელდება და სხვ...

—

შვიდიდგან ცამეტ აგვისტომდე რუსეთის ორმოც-და-ერთს გუბერნიაში ხოლერით ავად გამხდარა—7,884 კაცი, ხოლო ამ რიცხვიდგან 4,200 გარდაცვლილა.

—

გაზეთს „რუს. ჟიზ."-ს ნება მისცეს განცხადებების ბეჭდვისა და გაზეთის ცალკე ნომრების გაყიდვისა.

—

პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, გზათა ინსტიტუტში უკვე დაიწყო მისაღები ეგზამენებიო. წელს ამ ინსტიტუტში მიღების თხოვნა მიუციათ 699 და ვაკანსია-კი 65-ზე მეტი არ არის.

—

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება ბაღოსნობისა და ფუტკრის მოშენების საზოგადოებისა ქ. ვარშავაში.

—

განზრახვა აქვთ მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან ამ შემოდგომიდგან გაჰმართონ ხოლმე საგანგებო კრებანი ფილოქსერის წინააღმდეგ საშუალებათა განსახილველად. კრებებს დაესწრებიან ხოლმე საფილოქსერო კომიტეტთა უფროსნი და თვით ვენახების პატრონნი. კრება განიხილავს იმ ცნობებს, რომლებიც შეჰკრიბეს საგანგებოდ ამ საქმისთვის კავკასიაში გაგზავნილ აკადემიკოსმა კოვალევსკიმ და პროფესორმა მელიქიშვილმა.

—

მოსკოვის ზოგიერთ შეძლებულ სავაჭრო ფირმების წარმომადგენელნი ამ წლის გასულს თეირანში გაჰმართავენ რუსეთის ნაწარმოების ახალ გამოფენას.

## ყრმათა თავშესაფარი

—

საფრანგეთში არსებობს ერთი საქველ მოქმედო დაწესებულება უაზის დეპარტამენტის დაბა სამპუიში. როგორც დაარსება, ისე აწინდელი ვითარება ამ დაწესებულებისა მეტად საყურადღებოა. ამ დაწესებულებას სახელად ეწოდება „Orphelinat Prevost". დაარსებულია ფურიეს ერთს მოწაფის, სამპუის მცხოვრების პრევოს მიერ. ახალგაზდობის დროს პრევოს დიდძალი ქონება მოეპოვებოდა, მაგრამ შემდეგ მისი საქმე კარგად არ წავიდა. პრევო გადასახლდა პარიჟში, იქ რადაც გამოსარჩენ საქმეს მიჰყო ხელი, მალე გამდიდრდა და ისევ სამპუის დაბრუნდა. აქ შეიძინა ადგილი, ტყე, მინდორი, გააშენა კარგი შენობანი, განსაკუთრებით სკოლისა და თავშესაფარისთვის მოწყობილი და სიკვდილის ჟამს ყველა ეს ქალაქ პარიჟს შესწირა. პრევოს ნათესავებს ეს ეწყინათ და სარჩელი დაიწყეს, რომელმაც დიდხანს გასტანა; ასე რომ პარიჟმა დაბა სამპუის მხოლოდ 1883 წელს დააარსა სასწავლებელი. სასწავლებლის მართვა-გამგეობა ჩააბარეს მხნე და მცოდნე მასწავლებელს პოლ რობენს.

ათის წლის მეცადინეობის შემდეგ რობენმა მართლა რომ საუცხოოდ მოაწყო ამ სასწავლებლის საქმე. ამ ჟამად Orphelinat Prevost-ს აქვს მშვენიერი სასკოლო მუზეი და მრავალი საუცხოვოდ გამართული სახელოსნოები; ხოლო ყმაწვილების აღზრდისა და განვითარების მხრივ ამ სასწავლებელმა ისეთი სახელი მოიპოვა, რომ ყოველ წელიწადს იქ მიდიან ევროპის სხვა-და-სხვა კუთხიდგან გამოჩენილნი მასწავლებელნი, რათა თავის თვალით დარწმუნდნენ, რამდენად კარგად არის მოწყობილი ეს სასწავლებელი.

თვით რობენის აზრით, სასწავლებელი იმ თავითვე ყმაწვილებს ცხოვრებისთვის უნდა ამზადებდეს და ამიტომ მისი სასწავლებელი ყაზარმებისა და მონასტრებისავით-კი არ უნდა იყოს მოწყობილი, არამედ დიდ ოჯახისავით. ამ სასწავლებელში ერთადა სწავლობენ ვაჟები და ქალები (16 წლამდე). ერთადა სხედან კლასებში, ერთად მუშაობენ სახელოსნოებში, და ერთად თამაშობენ. ბავშვები თითონ აკეთებენ სახელოსნოებში ყველაფერს, რაც-კი სკოლისთვის არის საჭირო და ეჩვევიან ყველა ხელობას. სასწავლებელთან სტამბაც-კი არის და ყმაწვილები აწყობენ და ჰბეჭდავენ ყველაფერს, რაც სკოლისთვის საჭიროა.

ყმაწვილებს მასწავლებლები მეტად ტკბილად ექცევიან. ამ სკოლაში არც-კი იციან ბავშვების დასჯა.

ერთად ერთი სასჯელი ზარმაც მოწაფეთათვის ის არის, რომ თუ ვინიცობაა ვინმემ თავის საქმე დროზედ არ გააკეთა, იმ დროს ამუშავებენ, როცა სხვა ყმაწვილები თამაშობენ.

თუმცა ასე მშვენივრად არის მოწყობილი საქმე ამ სასწავლებელში, მაგრამ მუდამ ბევრი მტერი ჰყავს და ვინ იცის, რა ცილს არა სწამებენ ამ სასწავლებელსა და მასწავლებლებს. განსაკუთრებით ემტერებიან კლერიკალები და არა ერთხელ ათასი ხრიკი უხმარიათ და ცილის წამება დაუწყვიათ ამ სკოლის შესახებ, მაგრამ ვერას გამხდარან და გამოძიება მუდამ ამტკიცებს ხოლმე, სასწავლებელი ჩინებულად არის მოწყობილიო.

## † გრაფი პარიჟისა

გრაფი პარიჟისა იყო შვილი პრინცის ფერდინანდ ორლეანელისა და შვილისშვილი ლუი-ფილიპესი. დაიბადა 24 აგვისტოს 1838 წელს.

---

გავლენა ჰქონდა.

რასაკვირველია, ძნელია მარტო ერთის დიკკენსის გავლენას მიეწეროს გაკეთილშობილება, განკარგება მთელის საზოგადოებისა, რომელსაც ამ მიმდინარე საუკუნეში ისეთი დიდებული კაცთ-მოყვარე ადამიანები ჰყავდა, როგორიც ჰოვარდია, გადვინი, რობერტ ოვენი, ჯონ სტუარტ მილლი, შელლი, ჯორჯ ელიოტი და სხვანი; ისეთნი სათნო სახემწიფო მოღვაწენი, როგორიც გლადსტონია, ფორსტერი, კანინგი; ისეთნი მეცნიერნი, როგორნიც არიან დარვინი, სპენსერი, გუმფრი დევი, ფარადეი *) და სხვანი. მართლაც, დიკკენსს განუზომელი გავლენა ჰქონდა. მის მიერ დაწერილი მომხიბლავი სურათები თავ-განწირულ და მოსიყვარულე გულის ყმაწვილ-ქალებისა, იმისი აგნესსა, ფლორენსი, ესფირი, პეგოტა, ნელლი; იმისი უბრალო და ტლანგი, მაგრამ კაცთ-მოყვარე მდაბიო ხალხი—ვალტერი, ტრადლესი, კაპიტანი კუტლი, ბოფფიტი და სხვანი; ტანჯვა და წამება იმის გზა-დაბნეულ და გადაკარგულ მაწანწალათა, ღარიბ-ღატაკთა, ობოლთა და უსწავლელად დარჩენილ ბავშვთა... ყველაფერი, რასაც-კი შეეხო იმისი კაცთ-მოყვარეობით აღძრული შემომქმედი ხელი, ულვიძებდა, ულვიძებს და ამიერიდგანაც დიდხანს განულვიძებს მკითხველს უწმინდესსა და უფაქიზესს გრძნობასა და აზრს სიყვარულისასა და თავ-განწირვისას და სურვილს კეთილის ქმნისას.

ტყუილად-კი არ იყო, რომ იმის სიკვდილის რამდენისამე ხნის წინად, როდესაც იგი ერთის სალიტერატურო საღამოდგან გამოდიოდა, ერთმა მანდილოსანმა ხელზედ აკოცა და უთხრა: „ნება მომეცით ხელზედ გეამბოროთ, იმ ხელზედ, რომელმაც ჩვენი ოჯახები აავსო კეთილისა, მოსიყვარულე გულისა და საუცხოო ქალებითაო". ტყუილადვე არ განაცხადა ფორსტერმა იმის სამარეზედ და საზოგადოებამაც კვერი დაუკრა იმის ნათქვამს, რომ არც ერთს პარლამენტს არა ჰქონია ისეთი გავლენა აღზრდა-განათლებაში ცვლილებათა შემოღებასა, სასამართლოსა, საპატიმროსა და შრომის კანონ-დებულებაზედ, როგორიცა ჰქონდა იმის რომანებს „ოლივერ ტვისტს", „ცივს სახლს", „დომბისა და შვილს", „მძიმე დროთა" და სხ.

— დიაღ, დიდი გავლენა ჰქონდაო, მითხრა Mrs Garnett-მაც: მაგრამ აწინდელმა ჩვენმა თანამედროვე განათლებულმა ქალებმა წინ გაუსწრეს იმის რომანებში აღნიშნულ თავ-განწირულ და მოსიყვარულე გულის ქალებს. ეხლანდელი ქალი შეიარაღებულია ცოდნით, მხნეობით სავსეა და მზად არის საზოგადო და საერო ცხოვრებაში განახორციელოს დედა-აზრნი კეთილისა, სიყვარულისა და მორიგება-თანხმობისა. თქვენ თითონ შეგიძლიანთ განსაჯოთ, რამდენად სჯობია Mis Grace H. (იხ. წარსული წერილი) იმის რომანებში აღნიშნულს აგნესასა ან ფლორენსას-მეთქი.

— ჩემის აზრით, სწორედ ისა ჰგავს ძალიან დიკკენსის გმირ-ქალებს მეთქი.

— მართალს ამბობთ, მხოლოდ ჩვენი მშვენიერი Grace გამოვიდა თავისის ოჯახიდგან, თავისის ოთახიდგან საზოგადოებასა, სასწავლებელსა, ხალხში და ყველაფერს ადამიანობის წმიდა ელ-ფერსა სდებს... ჩვენს, განათლებულ ინგლისელ ქალთა, ცხოვრებაში ხიდია ჩატეხილი; გონებრივი და ზნეობრივი განათლება ათი ათასთა ყმაწვილ ქალთა საკუთრება შეიქნა, მაგრამ ამათ ჯერ არა აქვთ გამორკვეული გეგმა თავისის მოქმედებისა და ოღვაწეობისა... ჯვარედინა გზაზედა ვსდგევართ და არ ვიცით საით წავიდეთ... რასაკვირველია, ცხოვრება გვიჩვენებს და დაგვანახვებს გზას... ზოგიერთ ქალს უკვე გააქვს კვალი ახალს გზაზედ.

Mrs Garnett-ის ამ სიტყვების გაგონებისათანავე ჩემს თვალს წარმოუდგა სურათი ჭეშმარიტად შესანიშნავის თამამისა და თავ-დაჭერილის დედა-კაცისა, რომელიც ისევე წარჩინებულია გონებითა, ცოდნითა და აზრ-რწმენის სიმტკიცით, როგორც Grase H. ხასიათის ზნეობრივის ძალღონით. ეს სურათი Mrs C. Wilson-ის (ვილსონის) სურათია, რომლის შესახებაც შემდეგს წერილში მოვილაპარაკებ.

W. Vasiani

---

*) ამ კაცობრიობის ბრწყინვალე და დიდებულ კაცთა სიმშვიდისა, გულ-უბრყვილობისა და გულ-კეთილობის შესახებ მრავალი ანეგდოტი არსებობს. კეთილი დარვინი ყოველთვის თავ-დაბალი იყო და თავისის თავის შესახებ გაზვიადებული აზრი არა ჰქონდა. ერთხელ დარვინის სანახავად გლადსტონი მივიდაო. როდესაც სტუმარი გააცილა, ეს კეთილი კაცი შესდგა ბაღის კარებთან და ჩაფიქრიანდა. შინაურებმა ჰკითხეს, რამ შეგაფიქრიანაო. „როგორ არ შევფიქრიანდეო, უპასუხა გულ-უბრყვილო კაცმა: ისეთი დიდებული და საქმით სავსე მინისტრია და მაინც-კი დრო უპოვნია, რომ ჩემთანაც-კი შემოსულიყოო.

სწავლა რომ დაამთავრა გერმანიის ქალაქ ეიზენაჰში, გრაფი პარიჟისა ჯერ ევროპაში მოგზაურობდა და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ წავიდა. შეერთებულ შტატებში რომ ომი ასტყდა, გრაფი პარიჟისა და მისი ძმა ჰერცოგი შარტრისა ამერიკაში წავიდნენ და ჩრდილოელ ჯარში ჩაეწერნენ. ევროპაში რომ დაბრუნდნენ, გრაფმა პარიჟისამ დაჰბეჭდა გაზეთ „Revue des deux Mondes“-ში წერილი შესახებ ბამბის ვაჭრობის დაქვეითებისა ინგლისში; 1867 წელს დაჰბეჭდა წერილები შესახებ „ახალ გერმანიისა“ და 1868 წელს დაჰბეჭდა ბროშურა ირლანდიაში სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევების შესახებ; 1869 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი შესახებ მუშათა კავშირებისა ინგლისში.

საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომი რომ გამოცხადდა, გრაფი პარიჟისა მოვიდა პარიჟში და ჯარში შესვლა მოინდომა, მაგრამ მთავრობამ მისი სურვილი არ შეიწყნარა. 1873 წელს ისევ მოვიდა პარიჟში, შეუერთდა გრაფ შამბორს და სცდილობდა საფრანგეთში მონარქიის აღდგენას, მაგრამ ვერას გახდა და მას შემდეგ გრაფ შამბორის სიკვდილამდე პოლიტიკაში არ ერეოდა.

1886 წელს გრაფი პარიჟისა განაძევეს საფრანგეთიდგან. მას შემდეგ რამდენჯერმე გამოსცა მანიფესტები და უმტკიცებდა ფრანგებს, მონარქია სჯობია რესპუბლიკასაო და თანაც ჰპირდებოდა, მონარქიის დროს ხელუხლებელი დარჩება ყველა ის უფლებანი, რომელნიც რესპუბლიკამ ერს მიანიჭაო. ბულანჟეს საქმემ რომ თავი გამოჰყო საფრანგეთში, გრაფი პარიჟისა თითონაც მიემხრო ბულანჟეს და თავის მომხრეთაც ურჩევდა, ბულანჟეს დაეხმარეთო. ბულანჟიზმის დამხობასთან ერთად დაემხო საფრანგეთში მონარქისტთა საქმეც.

1890 წელს უფროსი შვილი პარიჟის გრაფისა გრაფი ორლეანისა სრული წლოვანი შეიქმნა; ნება დაურთველად მივიდა საფრანგეთში და განაცხადა, მეც სხვებთან მიმიღეთ სამხედრო სამსახურშიო. ახალგაზდა პრინცი ამ საქციელისთვის ციხეში დაამწყვდიეს. შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა აპატია და ჰერცოგი საფრანგეთს განშორდა. მას აქედ გრაფი პარიჟისა პოლიტიკაში აღარ ერეოდა. გარდაიცვალა ინგლისში.

## გასართობი

—

ახალი კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა

1. ექიმი 20 წლის განმავლობაში სწამლობდა 20,000 ავადმყოფს; 20 მათგანი მორჩინა. გამოიცანით: რამდენი გაისტუმრა ამ ექიმმა წიაღსა შინა აბრაამისასა, ისააკისასა და იაკობისასა?

2. ვაჭარმა სხვა-და-სხვა დროს თამასუქებით ისესხა 20,000 თუმანი: მერე გაკოტრდა და თავისს მოვალეებს მანეთზედ შაურის მეტი არ მისცა. გამოიცანით: რამდენი ფული ჩაჯიბა ვაჭარმა?

3. ერთს მებატონე-ქალს 10 წლის განმავლობაში მოურავი ჰყავდა. მამული ყოველ წელიწადს 500 თუმანს იძლეოდა; გამოიცანით: რამდენს გამორჩებოდა მოურავი ამ მამულს, თუ ყოველ წელიწადს 500 თუმან შემოსავლიდგან მებატონე-ქალს მხოლოდ 100 თუმანს აძლევდა?

4. ქმარი 55 წლისაა, ცოლი 25 წლისა; ხოლო თუ საყვარლის წლოვანების შეტყობა გინდათ, ქმრის წლოვანებას შეურთეთ წლოვანება ცოლისა და მერე ის რიცხვი ოთხად გაყავით. გამოიცანით: რამდენის წლისა ყოფილა საყვარელი?

5. მატარებელს 12 ვაგონი ება. თითო ვაგონში იყო 300 კაცი. მატარებელი თავის თავად ლიანდაგს გადასცდა და დაიმსხვრა. აღმოჩნდა: 1 ცოცხალი კაცი და 199 დაშავებული. გამოიცანით: რამდენი კაცი იმსხვერპლა მატარებელმა?

6. ერთმა კაცმა „დრრრრამა“ დასწერა. „დრრრრამა“ შეიცავდა 5 მოქმედებას, თითო მოქმედება—30 გამოსვლას; ამათში 1 საკუთრად ავტორისა იყო და 29 გადმოთარგმნილ - გადმოკეთებულ - გადმოპარული. გამოიცანით: რამდენი მოქმედება ეკუთვნის თვით ავტორს?

## პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,40 | 7,43 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 149 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 240½ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 226 |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 192¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ს. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზრონტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)



გამოვიდა და ისყიდება

**კრებული**

მოთხრობებისა

თარგმანი

**ა. ნიკიტინისა**

წიგნი პირველი

ფასი სამი შაური

(10—მ—1)



**ხარკოვში**

„რიბნი“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

**„რუფა“**

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხანის „ვალდშლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—6 (გ. 17)



სკოლა ტფილისის საურთიერთო დამხმარებელ მასწავლებელთა და აღმზრდელთ ქალთა საზოგადოებისა გადავიდა ტერ-ასატუროვის სახლიდგან ველიამინოვის ქუჩაზედ, იმ სახლში, სადაც მესამე გიმნაზია იყო (ქალაქის სახლის გვერდით).

ორივ სქესის ყმაწვილები მიიღებიან (სომხურსა და ქართულს განყოფილებაში) არა ნაკლებ 6 წლისა და რუსები (უმცროსსა და საშუალო განყოფილებაში) არა ნაკლებ 7 წლისა —22 აგვისტოდგან (დილის 10 საათიდგან 12 საათამდე და საღამოს 5 საათ. 6-მდე).

სწავლა დაიწყო 1 სექტემბრიდგან. ყმაწვილები მზადდებიან ყველა საშუალო სასწავლებელში მისაღებად.

(3—6—2)



**ვ. ა. აბაშიძის გამოცემა**

გამოვიდა და ისყიდება

**პანთეონი**

ქართულის თეატრისა

წიგნი I

შინაარსი:

იკვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.

ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.

ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—2)



**ცხოვრება**

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.



Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

განიერი ნახვრად მოძრავი ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით.



მაღალი ნახვრად მოძრავი 1-დგან 100 ცხენის ძალით.



მოგრძო უძრავი 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით



ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(6—31—5)



**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსვადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—17)



**საკომერციო კურსები**

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—16)


Дозволено цензурою Тифлисъ, 2-го Сентября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.